

ମହେତା
ଶ୍ରୀଚନ୍ଦ୍ରପାତା

ଶବ୍ଦଗୀ
କଲ୍ପନାଶକ୍ତି

კ ა გ ა გ ა გ ა გ ა გ ა

გამოსცემლობა „საქართველო“
თბილისი — 1991

54 . 5
617—089
ტ 275

ეს პატარა წიგნი წარმოადგენს ცნობილი
მეცნიერის ორაკლი ტატიშვილის მიერ შედ-
გენილ იუმორისტული, მინიატურების, კრე-
ბულს, რომელიც ეხმა ექიმის, მორალსა და
ეთიკას.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო
წრისათვის.

ტ 4101000000—058 168—91
ა 601(08)—91

© გამომცემლობა „საქართველო“, 1991
ISBN 5—529—00880—1

ზოშის ინექცია

ჭანმრთელობის დაცვის ერთი ხელმძღვანელი მეტად მიუკარებელი და ყოყოჩა კაცი იყო. მის კაბინეტში მოსახვედროდ თანამშრომლები საათობით და ზოგჯერ მთელი დღეებიც იცდიდნენ.

მაგრამ აი, ერთ დღეს ხმა დაირჩა: ჩვენს ხელმძღვანელს ათავისუფლებენ, და ისიც ერთბაშად შეიცვალა: თანამშრომლებს ყურადღებით ექცეოდა, ყველას უშენდა, ყველას იმადლირებდა.

გავიდა კვირა — არ გაუთავისუფლებიათ. გავიდა შეორუ კვირა, მესამე კვირა. ხელმძღვანელი ისევ იმავე კაბინეტში იჯდა. თანამშრომლებმა შვებით ამოსუნთქმეს, მაღლობა ღმერთს, ჩვენმა უფროსმა შუშაობის მეთოდი რომ შეცვალო.

გავიდა ერთი თვე და ისევ გამოიყერა ურდულით ხელმძღვანელის კაბინეტი.

ისევ მიუკარებელი და უყურადღებო გახდა. ისევ დაიწყო ყოყოშობა.

რატომ? განთავისუფლების საფრთხე აღარ ემუქრებოდა. და იმიტომ!

ამ შემთხვევის შედეგ თანამშრომლები ამბობდნენ: შიშის ინექციია ჰასიათის გაუმჯობესების შესანიშნავი საშუალება ყოფილა.

უცხოსობა... იძულებით...

აზალუაზრდა კაცმა დიდი გაი-ვაგლახით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. მართალია, თავი ცოდნისაგან არ უსკდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გავლენიანი ნათესავები ჰყავდა, რომლებმაც იგი ერთერთი ხელმძღვანელი ამხანაგის კაბინეტში შეაგდეს.

— შეგიძლოა კაცის განკურნება? — პკითხა ხელმძღვანელმა ამხანაგმა.

— ასე უცებ? რა თქმა უნდა, არა, მაგას მიჩვევა უნდა, გამოცდილება, პრაქტიკა...

— მაშასადამე არ შეგიძლია...

— ჭერჭურობით არა... — თავის კანტურით დაეთანხმა ვაიექიმი.

— კეთილი, — კეფა მოიფხანა ხელმძღვანელმა ამხანაგმა და ცოტა ფრერის შემდეგ გამოსავალი იპოვა — რადგან არაფერი შექმნავა იძულებული ვარ ჯერჯერობით + უფროსად დაგნიშნო. პროფესორებს უხელმძღვანელებ, მეცნიერ მუშავებს, ლაბორატორიათა მუშაობას წარმართავ, — დააკონკრეტა თავისი აზრი ხელმძღვანელმა.

უარი წესის დაცვით

რექტორთან მივიღა ახალგაზრდა ასისტენტი და სთხოვა ხელფასის შენახვით ერთოვიანი შეებულება.

რექტორმა განცხადება მოსთხოვა. ასისტენტს აჩ აღმოაჩნდა. ამიტომ ასისტენტი გაბრუნდა სახლში, დაწერა და მეორე დღეს განცხადებით ხელში კვლავ მიიყითხა რექტორს.

რექტორმა დახედა განცხადებას და კათედრის გამგის თანხმობა მოითხოვა. ვინაიდან განცხადებაზე კათედრის გამგის თანხმობა არ იყო, ამიტომ ასისტენტი კათედრაზე გამოიუნდა.

მესამე დღეს ასისტენტი განცხადებაზე კათედრის გამგის თანხმობით რექტორთან გამოცხადდა. რექტორმა გადასინჯა განცხადება და პრორექტორის რეზოლუცია მოსთხოვა.

მეოთხე დღეს ასისტენტი კათედრის გამგის თანხმობით და პრორექტორის რეზოლუციით რექტორის კაბინეტში შევიდა.

რექტორმა ასისტენტს უბრძანა განცხადება კანცელარიაში ჩაებარებინა, რაც ასისტენტმა შეასრულა და წავიდა.

ბოლოს, რექტორმა მიიღო განცხადება, სათვალე გაიკეთა, ოთხერ გადაიკითხა და ზედ წააწერა — „უარი ეთქვას“.

ერთი ანდაზის არ იყოს

ერთ ქალაქში ახალი, ულტრათანანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საავადმყოფო აშენდა, სამუდიცნო იმსტიტუტის ერთ-ერთი კათედრის გამგემ შეხედა საავადმყოფოს, გონებაში რაღაც აწონ-დაწონა და მაშინვე ინსტიტუტის რექტორისაჟენ გასწია.

რას იტყვით ახალაშენებული საავადმყოფოს თაობაზე? — კარგია, არა? — მაგრამ უფრო უკეთეს იქნება, თუ მის ბაზაზე ჩემს კათედრას მოვათავსებთ.

— დიდებულია! — ტაში შემოქრა რექტორმა. — ოლონდ ამას, ხომ იცი, ჭანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან უნდა შეთანხმება.

— ჰოდა, შეათანხმეთ, ძვირფასო. სამუდამოდ თქვენი მაღლიერი ვიქები.

რამდენიმე ხნის შემდეგ რექტორი ისევ მოინახულა კათედრის გამვებ.

— რა ჰქენით, გვეშველა ვითომ? — იყითხა კათედრის გამგემ.

— ო, რომ იცოდეთ, რა დავიღარაბას გადამკიდეთ, ნამდვილი მატება გადავიტანე. მაგრამ ძალიან ვეცადე და საქმეც მოვაკვარახვინე...

კათედრის გამგეს სახე გაუბრჩყინდა. მას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რექტორის შეაჭყვეტინა.

— თქვენ ხომ არ გეწყინებოდათ, რომ ამ ჩხერისა და დავიდარბის დროს მე ჩემს პაწია სარევეტლზეც მეფიქრა?..

— რა თქმა უნდა, არა, ბატონი რექტორო...

— ვიცოდი თქვენი გულის უმბავი! ვიცოდი, რომ არ გეწყინებოდათ... თქვენი სურვილისამებრ გამოვიყენე ჩემი უფლებები, შესაძლებლობანი, ნაცნობობა და... იმ საავადმყოფოში ამჯერად ჩემი კათედრია გადავიტანე.

— კი მაგრამ, მე? — გულუბრყვილოდ იყითხა კათედრის გამგემ.

— როგორ, განა სხვა საავადმყოფო არ აშენდება?

კათედრის გამგეს მწარედ გაელიმა.

— რაზე გელიმებათ? — გაიკვირვა რექტორმა.

— არაფერზე, ერთი ანდაზა გაძახსეხდა.

— მაინც რომელი?

— „ბევრი ვეცადე შენთვისო, ძლიერ მოვახერხე ჩემთვისო“.

ს ტ ე რ ი ტ ი

სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან ერთი ხანდაზმული კათედრის გამგე მივიდა.

— გთხოვთ ჩემს კათედრის მოაცილოთ ასისტენტი. საშინელ დღეში მაგდებს. ან ის, ან მე! — კატეგორიულად მოითხოვა კათედრის გამგებ.

— რომელ ასისტენტზე მელიპონავებით? — იყითხა რექტორმა.

კათედრის გამგე ჩაფიქრდა.

— სახელი ხომ არ გახსოვთ?

— რაღაც უცნაური სახელი აქვს, ეშმაკიც ვერ დაიმახსოვრებს. რექტორმა განვგრძი:

— როგორია შესახედავად, იქნებ დაგეხმაროთ?

— არც მაღალი, არც დაბალი... მგონი...

— რამდენი წლისა?

— ასევისა რა მოგახსენოთ...

— დიდი ხანია მუშაობს?..

კათედრის გამგებ მესიერება დაძაბა:

— მართალი ვთხოს, არც ეს მახსოვე...

რექტორს გული მოუვიდა, ეჭვის თვალით შეხედა კათედრის გამგეს და შეეკითხა:

— თქვენ მარტო ასისტენტს. უჩივით თუ მესიერებასაც?

სკამის დაკარგვის შიში

სამეცნიერო ინსტიტუტის ერთ რექტორზე ამბობდნენ როგორც თუ სკამზე ზისო... და, აი, რექტორის თავმაშემწემ შეუჩინა დრო და რექტორს შეუყითხა:

— ბატონი რექტორო! თქვენზე რომ ამბობენ ორ სკამზე ზისო, ძალიან გთხოვთ მითხავათ, თქვენი შეორე სკამი საღ არის? მე აյ რომ ვარ, თქვენ მუდამ ერთ სკამზე ზისართ და ერთხელაც უკეთ შეგისწავით შეორებე მჯდომარი.

— მეორე კი არა, ამ სკამიდანაც რომ ვდგები, იმსაც ვმალავ, თორემ ჩემი კათედრის გამგების ამბავი რომ ვიცი, თავისუფალს რომ დაინახავენ, იმ წამსვე ზედ დასკუპლებიან:

საკადრისი პასუხი

ეჭიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორმა საბჭოს ერთ-ერთ ძელ წევრს მიმართა:

— რას იტყვით, კათედრის გამგებ დროებით პროფესორი ქუეულაძე რომ მოეიწვიოთ?

— თუ დროებით იწვევთ, ნება მიბოძეთ, ამ საყითხზე შეც დროებით შევიყვან თავი, — თქვა საბჭოს წევრმა:

აღზრდის თავისებურება

სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ერთმა თეორიული კათედრის უზრუნველისა პროფესორმა განაცხადდა:

— ჩვენ დარგში მოახროვნე სპეციალისტი რომ გაიზარდოს, კათედრაზე ინსტიტუტის დამთავრებისთანავე უნდა მოდიოდეს, უფრო საუკონვანი ექიმისაგან კარგი სპეციალისტი ვერ ჩამოყალიბდება.

მის გვერდით მჯდარმა საბჭოს წევრმა რომელიც ამ პროფესორს კარგად იცხობდა, გადაუსურისულა შეორე წევრს:

— სწორედ ამის მიზეზია, რომ მისგან სპეციალისტის გარდა უვალაფერი ჩამოყალიბდა.

შარის მიზანი

სამსახურში მოსაწყობად პროფესორთან ერთი ეჭიმი მივიდა.

პროფესორი მას შორიდან იცნობდა, როგორც უარყოფით ადამიანი. პროფესორმა ეჭიმს უარი უთხრა სამსახურში მოწყობაზე, თუმცა ვაკანტური ადგილი ერთის მაგივრად ორი ჰქონდა.

თანამშრომლები ას მოელოდნენ პროფესორის ასეთ გადაწყვეტილებას და მორიდებით ჰქითხეს:



— ბატონი პროფესორი, ჩომ გქონდათ გარანტიური ჯიგილი რომ თქვით უარი მაგ კაცის მიღებაზე?

— კერ ერთი იმიტომ, რომ ელექტრონერგიის გადახარჯვისას დაგვაგარიმებდნენ და მეორეც, მთელი ჩვენი თანამშრომლები გაცივდებოდნენ და გამუდმებით გრძილი იქნებოდნენ აფად.

— ეს როგორ? — გაოცდნენ თანამშრომლები.

— სრულიად უბრძლოდ, რადგან ეგ ექიმი მეტად მყრალი და ბნელი პიროვნებაა, მთელი დღის განმავლობაში ფანჯრები და კარები ღია უნდა გვეთანხმდა, ულექტრონათურები კი მუდამ ანთებული.

დ ა უ ს ა გ უ თ ა

სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთი კათედრის შტატგარეშე ასისტენტმა კათედრის გამგეს საყვედლურით მიმართა:

— ბატონო პროფესორ! მეგონა ღოცენტის ვაჟანტურ აღგილზე მე წარმადგენდით, მაგრამ როგორც ჩას, შევცდი.

— თქვენ რატომაც ზშირად ცდებით ჩვენი მეცნიერება კი უფრო ზუსტია და ძევთი თანამშრომელი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ცდება, ჩვენ არ გამოგვადგება, — უპასუხა კათედრის გამგემ.

ლოდინის საზღაური

სამედიცინო ინსტიტუტის ერთი პროფესორი, რომელიც კათედრას ხელმძღვანელობდა, ერთობ დიდი ბიუროერატი იყო. ასცერთ საქმეს თპერატორულად არ წყვეტდა, ყოველგვარ სიახლეს ეჭვის თვალით უყურებდა და, რაც მთავარია: ადამიანებს თავისი უხასიათობით პირდაპირ ტანგავდა. ამიტომაც მასთან თითქმის არავინ მიღიოდა რაიმეს სახორცევნელად.

მაგრამ აი, ერთმა ახალგაზრდა ექიმმა გული გუშუწყალა კს ექიმი კათედრაზე შტატგარეშე დაუშაობდა და ყოველნაირად ცდილობდა საშტატო ერთეულში მოხვედრას. დაპირებულიც იყვნენ.

— ბატონო პროფესორ, წაბრძანდებით თუ არა რექტორატში ჩვენს საქმეზე? — წარამარა უყიოთხებოდა ახალგაზრდა ექიმი კათედრის გამგეს.

— წავალ, წავალ...

— როდის?

— ახლანგე, არა, უმჯობესია ხვალ, ხვალისათვის უფრო მოცლილი ვარ, — უპასუხებდა პროფესორი.

— ბატონო პროფესორ, დღეს ბეღნიერი დღე გამოიყენდა, ვაჟიშვილი გაჩნდა ჩვეშს ოჯახში, ბარემ თქვენც მოაყარეთ მარილი ჩემს სიხარულს და...

— აუცილებლად, დღეს პარასკევია, ორშაბათს შიგალ თარშაბათს იგივე სცენა განშეორდა.

ახალგაზრდა ექიმი:

— იყავით?

პროფესორი:

— ვიყავი. რექტორი არ დამჩვდა.

გავიდა თვე. ახალგაზრდა ექიმმა თავაზიანად შეაღო კათედრის გამგის კაბინეტი.

— როგორ არის ჩემი საქმე? — ჩუმად იქითხა მან.

— ა? ეს შენა ხარ? რექტორმა მითხრა, რომ შენი საქმე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში უნდა შევათანხმოო.

— რა გაეწყობა, დაუიცდი.

გავიდა სამი თვე.

— იყავით ჯანმრთელობის?

— ვიყავი.

— მერე?

— მინისტრს არ ეცალა ჩემთვის. სხვა ღროვისთვის დამიბარა.

— სხვა ღროვისთვის?

— ჰო. ასე ამ თვის ბოლოს გაცუვლი. ხომ იცი, დიდი კაცია, ყოველ წერილმანზე ხომ არ შევაწუხებ...

— როგორც გნებავდეთ, — ამოიოხრა ახალგაზრდა ექიმმა.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე — პროფესორი, როდესაც შასთან შესული ექიმი დაინახა, სიტყვა არ აცალა და უთხრა:

— ცოტა უნდა გვადროვო, მინისტრი შეიცვალა...

— საზღვარგარეთ წავიდა, ორ თვეში ჩამოვა...

— ახალი წლის შემდეგ განვიხილავთ მაგ საჭითსო.

დრო კი მიდიოდა.

— ასე პატარა შტატში ხომ ვერ აგიყვანთ, მერე ჩვენს კათედრას ახალგაზრდა კადრებით ვაყიმბლექტებთ... თქვენ კი, მაატიეთ და, უკვე ხახდახმული ბრძანდებით.

შტატგარეშე ექიმმა სარეში ჩაიხედა.

ვიდრე იგი ინსტიტუტის კათედრაზე მოხვედრას ელოდა, გვარიანად შექარავებულიყო.

შემდეგ მზერა ისევ კათედრის გამგისაჟენ გადაიტანა და მუდარით შიმართა:

— ბატონო პროფესორო, ღლეს ბეღნიერი ღლე მაქვს, ჩემმა ერთადერთმა ვაჟიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ბარემ თქვენც მოაყარეთ მარილი ჩემს სიხარულს და ისიც გაითვალისწინეთ, თუ რამდენი ხანია ველოდები ადგილს, წყალში ნუ გადამიყრით ამდენ ლოდინს და ჩემი ვაჟიშვილი აიყვანეთ შტატში, ის ხომ ჭერიჭერობით სრულიად ახალგაზრდაა.

ექიმთა დახულოვნების ინსტიტუტის ერთმა კათედრის გამგებ ასისტენტი და აიყვანა ტახტამალი, თვალებაზღმოკარკლული და სკოლიოზიანი ასასტენტი.

გამგის მოადგილემ ვეღარ მოითმინა და გამგეს პკითხა:

— რად გინდოდათ ასეთი ასისტენტი?

— ასეთი სკობია, გულმოდგინე იქნება და საქმეს მიხედავს, — უპასუხა პროფესორმა.

— ძალიან დაბალი რომ არის? — პკითხა მოადგილემ.

— რა, კალათბურთის სათამაშოდ გინდოდათ თუ? — გაიკვირვა პროფესორმა.

— სკოლიოზიც რომ აქვს?

— მერე რა, საცეკვაოდ ხომ არ მივიღეთ? — უპასუხა პროფესორმა.

— ბატონი პროფესორი! თვალები რომ გადმოკარკლული აქვს?

— შეუწოდებისთვის უკელას უნდა ჰქონდეს თვალები გადმოკარკლული, — უპასუხა პროფესორმა.

ზოდახვდული კათედრის გამგე

ექიმთა დახულოვნების ინსტიტუტის ერთ კათედრაზე კონკურსი გამოაცხდეს უფროსი ლაბორატორის აღგილის დასაჯავებლად.

— რამდენი განცხადება შემოსული? — იქითხა კათედრის გამგემ.

— თორმეტი, ოღონდ ამ თორმეტიდან ერთი ყრუ-მუნჯია.

— ჰოდა ძალიან ვარგი. ეგ მივიღოთ...

— როგორი — გაუკვირდათ თანამშრომლებს, — უპირატესობას ყრუ-მუნჯს აძლევთ?

— დიან, მთელ თავის ენერგიის შეალევს მუშაობას. არც ჭორს აპყვება და არც ლაპარაფით მოგვაბეზრებს თავს.

ს ი ც რ ს ი ლ ე

— დამშეციდებული ბრძანდებოდეთ, — მიმართა მეურნალშა ექიმმა ჯოცენტის. — თქვენი პროფესორი ყოველმხრივ შევისწავლეთ, გავსინ-ჭეთ: სისხლი, შარიდი, განავალი, კუჭის წვენი, ელექტროენერგოლოგიამა, ელექტროფარდიოგრამა, ერთი სიტყვით ყველაფერი, ქალბატონი ეფემია საესებით ჯანმრთელია ისე რომ, ნურაფრის შიში გექნებათ.

— შინც ცუდად რომ გრძნობს თავს?

— ეს უკვე სიბერის მოვლენებია! ასე გადაეცით პროფესორს. დოცენტიმა თავი ვადააქნია.



— ძვირდესო, ჩემთვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ უნდა მოგორიშეთ, ბავშვობიდანვე ფრთხილი ვიყავი და გამზედაობა მაოდ მყლდა, ამიტომ ეგ მიზეზი ქალბატონ ეჭემიას თქვენ თვითონ მოახსენეთ.

ს ა დ ა რ დ ე ბ ე ლ ი

— რალაც ვერა ხარ გუნებაზე, — მიმართა სამედიცინო ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელშა მეორე თანამშრომელს, — მოხდა რამე?

— ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს, როცა კათედრის გამგედ ისე-თი კაცი დაგვინიშნეს, რომელსაც უსაზიშლრესი მენსიერება, სმენა და მხელევლობა აქვს?

— რას ლაპარაკობ, გაბეღნიერებულხარ და ეგ არის, თქვენ სადარ-დებლად კი არა, მოსალოცად გქონიათ საქმე. ამას რა სჯობია, როცა ხელშძლვახელი ყრუ, გულმავიშეყი და ბრძაა?!?

— საქმეც ისაა, რომ ყველაფერი პირიქითაა. ყოველგვარი წვრილ-მანი დავალებაც ახსოვს, ცხრამთის იქით რომ ვიყოთ, იქაც მოგვწერება თვალით და მისგან უჩიუმრად, საიდუმლოდ რომ გვინდოდეს ლაპარაკი, სიტყვასაც ვერ გაძოვაპარებთ.

უროშა ჩლამაზებას ადამიანს

— გეთაყვა, — მიმართა კაბინეტში შემოსულ ასისტენტს პროფესორმა, — ხვალ დილით ათ საათზე ჭანმრთელობის დაცვის განყოფილებაში ნახევარსათათიანი მოხსენება უნდა წავიყითხო... არ დაგვიწყდეთ — ნახევარსათათიანი.

ასისტენტი მიხვდა, რასაც სთხოვდა პროფესორი.

— ბატონი ბრძანდებით, დღესვე დავწერ, — თქვა მან.

— ჭანდაცვის განყოფილებიდან რომ გამოვალ, — განაგრძო პროფესორმა, — სამეცნიერო კონფერენციას უნდა დავესწრო. თხუთმეტწუთიანი სიტყვა დამშირდება.

— ბატონი ბრძანდებით, — თქვა ასისტენტმა.

— სამ საათზე სამეცნიერო საბჭოზე რევმატიზმზე, მომიწევს ლაპარაკი. ასე, ხუთწუთიანი რეფერატი დამშირდება.

— რა გაეწყობა, — ძლივს მოითქვა სული ასისტენტმა, — ბატონი ბრძანდებით.

— ახლა ისიც იყითხეთ, რა ვუყოთ გრიბის ეპიდემიას? ამ საკითხზე თითქმის ყველა ჩემმა კოლეგამ გამოავეყუნა სტატია. ხვალ დილით ჩედავცის ასე, ოთხ-ხუთგვერდიანი წერილი უნდა ჩავამარო. უკვე შეთანხმებული ვართ და ხომ არ დავალატებ.

— ბატონი ბრძანდებით, — ამოღერლა ასისტენტმა და კარებისა-ტენ გაეძართა.

— ჰო, მართლა — კარებთან დაეწია პროფესორის ხმა, — კინამოძლავის დამკიცებული, ხეალ, შუაღლისთვის ასპირანტი მაგვაცითხატს. აგენტის მიზანი სი შრომა, გაეცანით და პასუხიც გაეცით.

— ბატონი ბრძანდებით, — ბოლმისაგან გული ამოვარდნაზე პქონ-და ასისტენტს.

— შინ წასვლისას, გზაზე, ერთი-ორი ნათურა მიყიდეთ. სამუშაო კაბინეტში ნათურა გადამეწვა და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მეც გამოითმული ვიყო.

— დღეს მაინც დაისვენეთ, ბატონი პროფესორო, — შემპარავად უთხრა ასისტენტმა, — არ შეიძლება ამდენი მუშაობა.

— როგორ გვეძლებათ! — შეაწყვეტინა პროფესორმა, — რა რჩოს დასვენებაა. შრომაშ შექმნა ადამიანი, იგი სიცოცხლეს უხანგრძლივებს, ალმაზებს და აკეთილშობილებს ყველას.

— ჩემს გარდა! — თქვა ასისტენტმა... კაბინეტიდან გამოსვლის შეძლებ.

გივი, ზურაბი თუ პირვენტი?

კათედრა ყოფილმა თანამშრომლებმა მოინახულეს. კათედრის პროფესორი ხელგამილი შეუცება თავის აღრინდელ თანამშრომლებს:

— გამარჯობა გივი (მიმართა ზურაბს), გამარჯობა ზურაბ (მიმართ გივის), როგორ ბრძანდებით, რას მოღვაწეობთ... როგორ შეცვლილშართ

— ბატონი ბიკენტი, — მიმართა ზურაბმა, — დიდ ბოლიშს მოგახსენებთ, მაგრამ მე გივი კი არა, ზურაბი ვარ, ის ზურაბი კი არა გივა, — პროფესორის სახეზე კიდევ უფრო მეტად გამოისახა გავვირება.

— აյი გითხარით, შეცვლილშართ-შეთქი, თუმცა ეტყობა, მეც გამოვიწვალე, და შალვას ნაცვლად ბიკენტად ვიქეცი, — დააკვირა პროფესორმა.

როცა ცხოვესორი დაგნეულია

შევიდა თუ არა პროფესორი აუდიტორიაში, სულგანაბულ სტუდენტებს მიმართა.

— აბა, ერთი მითხარით, სად გავჩერდი წინა ლექციაზე?

— დაფის წინ, ბატონი პროფესორო! — იყო პასუხი.

— მე, — შეიშმუშნა პროფესორი. მას აშეარად არ მოეწონა ასეთი პასუხი, მაგრამ არ შეიმჩნია. თუმცა სტუდენტები მიხვდნენ, რომ პროფესორი ცდილობდა გაეხსენებინა, რა საყითხზე შეწყვიტა წინა ლექცია.

— მე გეკითხებით, რაზე შევჩერდი მეთქი...

— სკლეროზის სიმპტომებზე, — წამოიძახა ომეცლილაც **სტუდენტი**
ტრანსფორმაცია

— შერე, მინვდით რაშეს? — ქილიყით იყითხა პროფესორმა.

— შესანიშნავია! მით უმეტეს, რომ პრაქტიკული შაგალითიც
გვაქვს, — უპასუხა დამცინავად მომლიშარ პროფესორს სტუდენტმა.

მეცნიერება მსახიობლების მოითხოვას

სამედიცინო სამსწავლებლის ერთმა მოსწავლებ თავისი მასწავლე-
ბელი დამარტინ ლაშარტონელა.

— ჰაბატით, რათაც უნდა გითხრათ, — დაიწყო მან გაუბედავად.

— დიან, გისმენით — ეკვით შეხედა მასწავლებელმა.

— რაც თავი მასსოვს, გაზეთებში, ჟურნალებში, ტელევიზორსა-
და კინოფილმებში სულ ერთხა და იმავეს გვიჩიჩინებენ, რომ თამბა-
ჭო მავნებელია, ღვინო მავნებელია, ჩვენი ექიმი კი სულ აბოლებს და
სულ ჩაბუუბუუებულია, მარტო მისი ობშივარიც დაათრობს კაცს.

— შერე? — გასრულდებულია, იყითხა მასწავლებელმა — შერე შენ
რა გაიხტერებს?

— რით აისწნება მომწამვლელი, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივ-
თერებებისა და ჩვენი ექიმის მეგობრობა?

მასწავლებელი ჩაფიქრდა. არ იცოდა, რა ეპასუხა მოსწავლისათ-
ვის. არადა, კითხვა მეტად პროფესიული იყო!

— იცი, რას გეტუვი, ჩემი კარგო? — თქვა მან ბოლოს, — ჩვენმა
ექიმებმა, რასაკვირველია, იციან ალკოჰოლისა და ნიკოტინის გამა-
ნადგურებელი გავლენა ორგანიზმზე. მაგრამ მათ შორის არიან ისე-
თო აღამიანები, რომლებიც ჩვენთვის, ისევ და ისევ ჩვენი ჯანმრთე-
ლობისათვის სდებენ თავს სამსახურპლოზე, რათა საუკუთრი თავზე
უკეთ გამოსცადონ ამ შხამების ზეგავლენა და პროფესიული
ორნისძიებანიც დასახონ. მეცნიერება შესვერპლს მოითხოვს!

კურსდამთავრებულის ფირჩევი

მეცნიერება ყოველგვარ ადამიანურ ასირებებს ზევიდან დასცემის,
მისთვის უცხოა ყველაფერი ის, რაც კეშმარიტი არ არის, მისთვის
მიუღებელია მეშჩანობა, პომპეზურობა, მოღურობა, თუმცა უკაც-
რავად... გამონაკლისია მედიცინა, რა დასამალია, სამედიცინო იმსტრი-
ტური. მოდად იქცა.

ხომ გაცინებიათ სქელი და ჭაბალი ქალის დანახვაზე, რომელ
საც მინი კაბა აცვია? მეცნიერებაში კი მოდის აყოლა ნამდვილი
ტრაგედიაა.

ასე დაემართა ერთ ახალგაზრდას, რომელიც ხანგრძლივი ფიქრის
შემდევ შეხვდა, რომ იგი არ იყო მოწოდებული მედიცინისათვის.
„ძაბ ასე, — ფიქრობდა იგი, — ანატომიაში ძვლების, სახსრების,

კუნთების და სხვა შინაგანი ორგანოების რაოდენობა ათასებრი
გადამცვლილი და დადგენილი. ცნობილია აგრეთვე ის მორტენ ფრედერიკ
გური ცვლილებებიც, რომლებიც ავაღმყოფის ორგანიზმში ვითარ-
დება ფილტვების ანთების, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიულ ავ-
აღმყოფობის და სხვათა დროს... ახლა ავიღოთ ფიზიოლოგია — ადა-
მიანი რომ აზროვნებს, მკერდში რომ გული აქვს, ძარღვებში სისხლი
რომ უჩქეფს და ფილტვები ჰაერით ეცვება, განა ახალი ამბავია? ან-
და რა გასაკვირია, რომ ავაღმყოფობის დროს მაგა იცვლება და აჩ-
ქარებულია სუნთქვაც. ეს ხომ ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა იცო-
და, ხოლო დღეს ყოველივე ეს თითის სიგრძე ბალმიაც კი იცის.
მაშ რაღა რჩება? ჩემი სახელმისამართის — ახატომების ფი-
ზიოლოგებისა და პათოლოგ-ანატომების მიერ გაკაფულ გზის ხელ-
მეორედ აღმოჩენა? უხერხელია და ულმაზოც. ასევე არ ლირს მუ-
შაობა მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში. ჯერ ერთი იმიტომ,
რომ ავაღმყოფობის აღმოცენება (წარმოგიდგენიათ?) სულაც არ არის
დამოკიდებული ინფექციის შეჭრაზე, არამედ თვით ორგანიზმა და
მის რეაქტივობაზე.

ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა ორგანიზმში მოხვედრილი ერთი
და იგივე სტრეპტოკოკი სხვადასხვაგარ ავაღმყოფობას იწვევს, ზოგს
რევმატიზმს უფეშებებს, ზოგს ქუნთრუშსას, ზოგს წითელ ქარს და
ასე შემდეგ... შერედა ახლა ფიქრობენ, რომ ზოგიერთი ულტრა-
სტრუქტურები, მაგალითად, მიტოქონდრიები მიკრობებს და ვირუ-
სებს წარმოადგენენ?

თანაც დღეისათვის იმდენი მიკრობი და ვირუსია მიკვლეული, თუ
სასწავლოდ არ შემცირდა მათი რიცხვი, ახლო ხანში დიდი ჰემის-
ფეროების, უპირატესად, შუბლის წილების ტვინის უჯრედებში აღ-
გილიც აღარ იქნება მათ დასამასოვრებლად...

არა, არ ლირს თეორიული დარგი. ნამდვილად არ ლირს.

იქნებ პრაქტიკულ დარგში ლირს ქბილის მოსინჯვა? კეთილი და
პატიოსანი. ავილოთ თერაპია. მაგრამ თერაპიაში ისეთი სახელმოხ-
ვეჭილი მეცნიერები მუშაობენ, რომ ძნელია მათ შემდეგ რაიმე
ახალი სიტყვის თქმა. თანაც რამდენი თერაპევტია ისეთი, შეხედავ,
განათლება და გამოცდილება არ აქვთ, საზოგადოების უზრად-
ლება კი მაინც ვერ დაუმსახურებიათ, მაინც ჩრდილში არის მიყუ-
ჯული. პირიქით, მომრავლდნენ ისეთი თერაპევტები, უახლესი წამ-
ლების სახელები რომ დაუზემორებიათ და ტებილი ენით არჩენენ
ანდა საიქიოს ისტუმრებენ ავაღმყოფებს.

ქირურგია?

ქირურგია მედიცინის ღმერთია. აქ მართლაც კარგი იქნებოდა,
რომ მემუშავა. ჩემი სიცოცხლე დასტარის სახელთან დამეკავშირე-
ბინა... ქმედითი, კონკრეტული მეცნიერებაა. მაგრამ მთელი უბედუ-
რება ის არის, რომ ეს მეცნიერება ჩემს ბუნებას ვერ ეგუება. ოპე-
რაციის გახსენებაზე ხელები მიკანკალებს... ჰოდა, ახლა თქვენ გან-

საჯეთ, გამოვა ჩემგინ ქირურგი? არ გამოვა, მკონი ტეუილაფა და და კარგე ექვსი წელი ჩას იზამ, ასეთი იყო ჩემი მშობლების და და ბელი სურვილი".

ო, მოდავ, მოდაი! რა სასაცილო ხარ ცხოვრებაში და რა სატი-
რალი მეცნიერებაში.

დასკნა

ექიმთა საზოგადოებაში ჩვეულებრივ ერთმანეთის გაყითხვ-გა-
მოკითხვის შემდეგ კიღაციმ კიმათის ასატებად კითხვა დასცა:

— რა მნიშვნელობა აქვს ექიმისათვის სამეცნიერო ხარისხის მო-
პოვებას და როგორ მოქმედებს მათზე ეს ხარისხი?

— ხარისხის მიღების შემდეგ ექიმი ჭიდვიანდება, დარბასლება,
უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ხალხისა და სახელმწიფოსათვის,—
თქვა ერთა.

— როგორ გეკადრებათ, — მაშინვე პირში ეცა მეთრე, — ხარის-
ხი უარყოფითად მოქმედებს მუდამ, რაღაც მისი მიღების შემდეგ
ექიმი ყოყოჩიოს, აქალა კველაფერი ვიცო, აღარ მუშაობს თავის
თავზე... ამიტომაც მეტი ზიანი მოაქვს ხალხისა და სახელმწიფოსათ-
ვის...

იქვე მყოფმა ასაკოვანმა ექიმმა განძარტა:

— ერთიც სწორია და მეორეც... ლირსეული ექიმისათვის ხარის-
ხით მინიჭებული უფლებები სასარგებლო საქმეს ხმარდება, ხოლო
ულისი კი ამ უფლებებით ბევრ სიბოროტეს სჩადის. ასე, რომ მთა-
ვარი სამეცნიერო ხარისხი კი არ არის, არამედ რა ხარისხის ადა-
მიანია თვითონ.

ზუპი და რეზილი

ექიმთა წრეში საუბარი ჩამოვარდა ცხოვრებისეულ პრობლემებ-
ზე, მიღწევებზე, პიროვნების როლისა და აღვილზე. ყველაზე მეტს
ერთი უნიჭო და უზარმაცეს ექიმი ბაქიბუქიძედა რომელსაც საქ-
მაოდ კარგი თანამდებობა ეკავა მედიცინის სფეროში.

— შემიძლია ჩამოვითვალოთ ყველა ძალა ელემენტი, რის წყალო-
ბითაც ასე თუ ისე რაღაცა მივაღწი, — მან თითვები შოიმარჯვა
და დაიწყო:

— პირველ რიგში ნიჭის, შემდეგ უნარის და, რაც მთავარია, შრო-
ვის და ძეგბის შედეგად.

— აი, მაგაში სრულიად მართალი ხარ, — დაუდასტურა ერთმა
ექიმმა, — შენ მართლაც ძიებით ნათლიმამობითა და პროცექ-
ციით მიაღწი ყველაფერს.

გამოჩენილი თერაპევტი გრიგოლ დიდებულიძე ქართლში იყო
 სტუმრიად.

კოლმეურნებმა მეტად ლამაზი, სურნელოვანი ვაშლი მიაჩვეს
 და თან ღიმილით დასძინეს:

— მიირთვი, ბატონო გრიგოლ, ეს ჩვენი ვაშლების დიდებულიძეა.

თერაპევტმა ვაშლი აიღო, გემო გაუსინჯა და წამოიძახა:

— მართლაც ჩინებული ყოფილა. ახლა იქნებ ვაშლების წინამ-
 ძლვრისვილიც მაჩვენოთ?

ზოგი, მავიანობა და გრძელი ვნა

იდეალური ცოლ-ქმრიბა ჰქონდათ ახალგაზრდა ექიმს და მის
 ცოლს. აი, უკვე ათი წელია შეუძლებული არიან და სიტყვა ხმა-
 მაღლა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. ცოლს ცოტა დღიდი ცხვირი
 ჰქონდა და ქმარი სიყვარულით ეხუმრებოდა ხოლმე: როცა რაიძეში
 გინდა დამაჯერო, ცხვირი დაიფიცეო, ხოლო როცა ცოლს ჩაიმე მე-
 ტიჩრიბიას შეამჩნევდა, მიახლიდა: ცხვირს მაღლა ნუ სწევო, ქალი
 თუ რაიმე ჭორს მოუყვებოდა, ქმარი უცილებლად ეტყოდა, სხვის
 საქმეში ცხვირს ნუ ჰქონდო.

ქალს ოდნავადაც არა სწყინდა ასეთი ხუმრიბა, რადგან იცოდა,
 ქმარი ამას კეთილი გულით უუბნებოდა.

ერთხელაც, ექიმი მოგვიანებით დაბრუნდა შინ. მაგიდაზე ბარათი
 დაბვდა. ქმარმა მაშინვე იცნო ცოლის ხელწერა. ბარათი ნაჩქარევად
 იყო. დაწერილია.

„დიდხანს ვიფრქე და როგორც იქნა გადავწყვიტე. მართალია
 მიმდინს, ძნელი გადასატანია, მაგრამ რა ვქნა? ველაზ გავუძელი შენს
 ამდენ საყვედლურებს ჩემს ცხვირზე და... ერთი სიტყვით, წოპესთან
 წავედო. ცაცა“.

ქმარს ელდა ეცა. სიბრაზისაგან კბილები გააღრმუალა — „ვინ
 არის ეს წომე? ვისზე გამცვალა, მომჟრა თავი საქვეყნოდ“, — ფექ-
 რიბდდა ქმარი და, საქციელწამხდარი ოთახში ბოლთასა სცემდა. ზა-
 რის ხმა გაისმა, უქიმშა თოთახის ქარი გამოალო და როდესაც თავისი
 სიყრმის მეგობარი დაინახა, გამარჯობის თქმა არ აცალა, ისე დაიწყო:

— წარმოგიდგნია, რა მიყო ცაცამ? საქვეყნოდ შემარცვინა, მი-
 ლალატა, გამექცა, არა, ისე ჩვენში დარჩეს, მე თვითონ ვაპირებდი
 გავცლოდი, უტანელი ხსიათი ჰქონდა, — და ქმარმა დაიწყო ცოლის
 ლანძღვა, ათას რამეს აბრალებდა, ცილს სწამებდა და გულს ამით
 ითხებდა.

— კი მაგრამ, წინასწარ არაფერი უთქვამს?

— არაფერი, მხოლოდ ეს ბარათი დამიტოვა, — მან მეგობარს
 წინ დაუდო ცოლის წერილი.



ექიმის მეგობარმა სწრაფად გადაიკითხა ბარათი და თავშეუცველებელი
ლი სიცილი აუტყდა.

— რა არის მანდ სასაცილო, ვერ გამიგია?! — მეაცრად იყითხა
ექიმმა.

— როგორ თუ რა, ნუთუ არ გაგიგია წოპე, ცხვირის პლასტიკური
ოპერაციის სპეციალისტი! ამას წინათ ჩემმა მეუღლემაც მასთან გაი-
კეთა ოპერაცია.

ექიმი შეცემუნდა, რა უმიზეზოდ, რა განუკითხავად გალანძღა საყ-
ვარელი მეუღლე და მორცხვად თქვა:

— თუ ის წოპე ცხვირის გარდა ენებსაც ამოკლებს, მაშინ ახლავე
გავიქცევი მასთან.

ჸ ა ლ ბ ი

ზამთარია.

მთის მივარდნილ სოფელში თოვლს სახლები დაუფარავს, ბუხრები
ბოლავენ — ესლაა სოფლის სიცოცხლის ერთადერთი ნიშანი. თოვა
არ წყდება. სუსხია.

უცებ იდილიურ სიჩუმეს თოფების გრიალი არღვევს. სროლა
თანდათან ძლიერდება.

— რა ამბავია? — უკვირთ მეზობელ სოფელში.

— ექიმის ჩამოსკლას აღნიშნავენ!

ალო, რათომ იღებთ?

დიდხანს, ძალიან დიდხანს რეკავს ტელეფონი.

ექიმი შინ მარტოა. ღამით მორიგე იყო და ეზარება ადგომა. ბო-
ლოს, როგორც იქნა, თავი დააღწია ბურანს და ყურმილი აიღო...

— დიახ, გისმენთ!..

— საავადმყოფოა? — კითხულობს ბოხი ხმა.

— არა, ექიმის ბინაა.

— მე კი საავადმყოფოში ვრეკავ.

— კეთილი, მაგრამ, ეტყობა, თქვენ შეცდომით მოხვდით ჩემთან!

— მაშ საავადმყოფოს ნაცვლად ექიმის ბინაზე მოვხვდი?

— დიახ.

— გასაოცარია, სწორედ!

— რა არის გასაოცარი? — იყითხა ექიმმა.

— მითხარით, ნუთუ თქვენ საავადმყოფოს ტელეფონის ნომერია
გაქვთ?

— რა თქმა უნდა, არა...

— მაშ საავადმყოფოში როგორლა დავრეკო?

— ალბათ მოგეხსენებათ ჩვენი სატელეფონო სადგურების მუშა-
ობის ამბავი, ჩემი ნომერია 22—20—18, დამირეკეთ შე და მოხვდე-
ბით საავადმყოფოში.

შესრულებული ოცნება

— აგსტუსი თდესმე ახალგაზრდობის დროინდელი ოცნება? —
ჰქითხეს ხანდაზმულ ექიმს.

— როგორ არა! ახალგაზრდობაში, როგორც გამოუცდელ ექიმს,
ეპვის თვალით მიყურებდნენ, ხშირად მინატრია ჭიათურა ვყოფილი-
ყავი.

შველაზრიდან სარგებელი

ექიმი, რომელიც პაციენტებისაგან ფულის გამოძალვის დიდი ოს-
ტატი იყო, სუფრაზე მეცნიერის გვერდით აღმოჩნდა.

ექიმმა, რომ ეჩვენებინა მეცნიერისათვის თავისი განათლება, უთხ-
რა:

— თქვენი წიგნები თითოეული ექიმისათვის სამაგიდო წიგნებია,
მე პირადად თქვენი წიგნებით ხშირად ვსარგებლობ.

მეცნიერს გაუკვირდა და უპასუხა:

— ჩემი შრომები მხოლოდ კოსმოსურ მედიცინას ეხება და თქვენ
რაში გვირდებოდათ და როგორ სარგებლობთ, არ მესმის?

— ეგ ისეთი კაცია, სარგებლობს თქვენი წიგნებიდანაც მოახერ-
ხებს, — გადაუჩურჩულა მეცნიერს გვერდზე მჯდომმა თანამესუფ-
რებ.

სიძულვის პაშარითი მიზანი უცნობი დარჩა

სამედიცინო ინსტიტუტის ორ პროფესორს ერთმანეთი სძულდა.
მოუხედავად ამისა, ერთი მათგანი ან არაფერს ლაპარაკობდა მეორეზე
ადა თუ იტყოდა, დადებითს. ამსა, რა თქმა უნდა, პროფე-
სორი დიპლომატიური მოსაზრებით აკეთებდა, დიდსულოვანი და
კარგი კაცის სახელის მოსახვეჭად, მეორე კი კოლეგას საჯაროდ ლან-
ძლავდა, რას არ ლაპარაკობდა მასზე.

ერთხელ დიპლომატ პროფესორს ჰქითხეს:

— რატომ არ უყვარხართ მეგობარ პროფესორს, რატომ ლაპარა-
კობს თქვენზე მუდამ ცუდს, თქვენ კი პირიქით, ან დუმხართ, ან
აქებთ კაღევაც.

— მართალი გითხრათ, ზუსტი მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ,
რომ კოლეგას მეტყველების ორგანოს მაკონტრინებელი და დამუხ-
რუჭების აპარატი ალბათ დარღვეული აქვს, ეს კი უსათუოდ თავის
ტვინის მარცხენა ჰემისფეროს საფეხულის წილის პირველ ხვაულთა-
ნაა (სენსორული მხარე) დაკავშირებული, — აუხსნა პროფესორმა:

როდის იცხოვა მეგობარი?

ცნობილ ექიმს ჰქითხეს:

— თქვენ, ალბათ, როგორც სახელმოწვევილ პიროვნებას, ბევრი მეგობარი გყავთ.

ექიმი ჩაფიქრდა და შემდეგ ლაკონურად უპასუხა:

— ახლა მექნელება თქმა, მაგრამ გაჭირვებაში რომ ჩავგარდები, მაშინ ზუსტად გვიტყვით; არ გაგიონიათ ანდაზა — „როცა მარანში ლვინო გამომელევა, მაშინ შევიტყობ, რამდენი მეგობარი მყავს“.

ექიმიც აჩას პრიზა

— ნუთუ აღარ გეყო ამდენი უსაქმურობა? — ულრიალა მოთმინებადარგულმა მამამ თავის ექიმ შეიღს, რომელიც მთელ დღეებს დროსტარებასა და ქუჩა-ქუჩა ნეტიალში ატარებდა, — ნუთუ არ მოიძებნა შენთვის წესიერი სამსახური?

— რა ვქნა, — ნაძალადევად ამოიოხრა უსაქმურმა, — სამსახური როგორ არ მინდა, მაგრამ ჯერჯერობით არავის ვახსენდები. თუმცა, რომც შემოეთავაზებინათ, მაინც არ დავთანხმებოდი, იმიტომ, რომ ჩემთვის შეუფერებელი სამსახური იქნებოდა.

— ვითომმ?

— არ უნდა მაგას ვითომ. განა არ ვიცი? რაში მქონია ბედი, რომ მაგაში მქონდეს, — თავი მოისაწყლა დედისერთა შვილმა.

— მაინც რა სამსახური გინდა ასეთი? — ჩაერია საუბარში დედა. — რაიონში ჩენ არ გაიზვებთ და აქ შევაწუხებთ ვიღაცას, გამოვნახავთ წაცნობებს, ერთ ადგილს როგორ ვერ გიშოვეთ?

— მე რომ მინდა, ისეთს ვერ მიშოვით, — აღარ გადავიდა სიტყვიდან შვილი.

— თქვი და ქვას გავხეთქავთ, კლდეს გავარღვევთ, — ფიცი დასლო მამამ.

— აი, რამე ისეთი, ავადყოფებთან, გვამებთან, — სისხლის, შარდის, განავლის გამოკვლევებთან საქმე რომ არ მქონდეს, — დამორცხვებით ამოილულლულა ახალგაზრდა ექიმმა.

მიზან-მიზან...

ერთი ექიმი ვერა და ვერ მოეკიდა ოჯახს.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ უთქვამთ მისთვის ახალგაზრდობაში მეგობრებსა და ნათესავებს:

— ეს ქალი შესანიშნავი ადამიანია, ითხოვე, კარზე მომდგარ ბედს ხელს ნუ ჰქრავ.

ექიმი ცხვირს იბზუებდა.

— აბა, რა სიტყვაა „ითხოვე“. ეს ხომ იგივეა, როგორც რაიმის თხოვნა, წამოლება, წამოყვანა და მერე უკან დაბრუნება! დღეს ბევრი ახალგაზრდა სწორედ ასე იქცევა, ითხოვს ქალს, ეყოლება ერთხანს



და მერე უტიფრად აცხადებს — ვითხოვე, საშუალოდ ხომ არ მოშენოს განასახია.

— ეგეც მართალია, მაგრამ... გვარის გამგრძელებელზეც ხომ უნდა იფიქრო?

— ვფიქრობ, ბატონო, ვფიქრობ, — გაიძახოდა ექიმი, — აი, მი-ვიღებ ახალ ბინას, მოვაწყობ, დავამშევნებ და ქორწილსაც გადა-ვიხდი... ასე, რომ, მე ქალს კი არ ვითხოვ, არამდე ცოლად შევირთავ.

— ჰა, ეგრე იყოს, შეირთე, — იღიმებოდნენ მეგობრები და ნათესა-ვები.

ახალგაზრდა ექიმმა მიიღო ბინა, მოაწყო თანამედროვე ავეჯით და ახლა სხვა რამ მოიმიზება...

— თანამედროვე ოჯახი უმანქანოდ, აბა, რა ოჯახია, — და მან-ქანის შესაძენი ფულის შეგროვება დაიწყო.

გავიდა წლებით გერია თმაში პირველი ჭალარა. იყიდა მანქანა.

— ახლა რაღა გიშლის ხელს? — ჰკითხეს მეგობრებმა.

— შესაფერისი კანდიდატურა ვერ შევარჩიე. ჩემი მეუღლე უნდა იყოს ჩინებული მეოჯახე და, რაც მთვარია, გამგები...

— ექიმზე უკეთესად შენ ვერავინ გაგიგებს! — ურჩევდნენ კე-თილის მსურველნი.

— ცხადია, — კვერს უკრავდა ექიმი, — მაგრამ არის ერთი სა-შიშროება, ჩვენი წრის ქალი რომ შევირთო, პირზე ერთი და იგივე ეკერება — ივადმყოფთან წასვლა არ დაგვიწყდეს, გულისყრით მოეკიდე და უმჯურნალე, თვალი აღევნე მაჯას, სუნოქვას, ტემპერა-ტურას, სისხლის, შარდის ანალიზებს... ერთი სიტყვით, შინაც საა-ვადმყოფოს ატმოსფერო მექნება... ამასაც შევეგუებოდი, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ზოგი მაღალია... მაღლები მე არ მომ-წონს. ზოგი — ძალიან დაბალია, მე არც დაბლები მომწონს... ზოგს მეტისმეტად შავი თვალები ქვეს, ზოგს მეტისმეტად გრძელი ფეხე-ბი... ახლა ხასიათს არ იყითხავთ? ზოგი ანჩხლია, ზოგი. ამპიტივით გესლიანი, ზოგი მეტისმეტად მოგელაქუცება და ფეხქვეშ გაგებება, ზოგი ცხვირს რომ ჩამოუშვებს და მოიწყენს, თავით მარილი რომ უნაყო, მაინც ვერ ასიამოვნება... აი, ხომ მიხვდით, რა დღეში ვარ, თქვენ კი მეუბნებით, ცოლის შერთვა არ გინდათ. მინდა, როგორ არ მინდა, მაგრამ...

ექიმმა ცოლზე ფიქრი „დროებით“ გადადო. საკანდიდატო დი-სერტაციაზე დაიწყო მუშაობა. თითქმის ათი წელიწადი მოანდომა.

თხუთმეტი წელი სადოქტორო დისერტაციას შეალია. თბა სულ გაუთეორდა.

აი, მოვრჩები ყოველივეს და ოჯახსაც მოვეკიდებით, ფიქრობდა. ამასაც მოჩინა, თავისუფლად ამოისუნოქა... და პენსიაზე გასვლის დრომაც მიუვაჭნა.

— აწი მაინც შეირთე ცოლი! — ურჩევდნენ კეთილის მსურველე-ბი. — სიბერეს მარტო ხომ არ გაატარებ?



— როგორ ფიქრობ, პენსიით შევძლებ აჯანის რჩენას? გურიაშეუძლია
ძლებ. აი, რომ მომიმატებდნენ...

პენსიაც მოემატა.

უკვე აღარავინ ურჩევდა ცოლის შერთვას და ჭრიქით, ხუმრობ-
დნენ მასზე: — ახლა თუ მაგან ცოლი მოიყვანა, ობლების მამობა და
ქვრივის ჭირისუფლობა უწერიაო.

გ ა თ ა რ ე ბ ე ლ ჟ ი

— ქირურგი?! სასწრავოდ ქირურგია საჭირო! — ორთქლმავლის
საყვირივით გაპკიოდა სამგზავრო მატარებლის დექტორი. დრო გა-
დომდა, ქირურგი კი არსად ჩანდა.

— აյი საქართველოში თითო კაცზე ორი ექიმი მოდისო, ნუთუ
მატარებელში ერთი ქირურგი არ არის?

სამწუხაროდ, მთელ მატარებელში ქირურგი არ აღმოჩნდა.
ერთ-ერთ ვაგონში მგზავრს, როგორც ჩანდა ჭია ნაწლავი
გაუსკდა და სიკვდილი გარდუგალი იყო.

— რა ვაეწყობა, — თქვა ერთმა ჩასუქებულმა მამაკაცმა. — ხომ
არ დავტოვებ მოძმეს გასაჭირში, მივალ, მივხედავ.

— ქირურგი მოდის! — სწრაფად დაირჩა ხმა მატარებელში
გვიდა სათო მეორე. მატარაცია დამთვერდა
მატარებელი ერთ-ერთ სადგურზე გაჩერდა.
ამოვიდნენ ექიმები.

ნახეს ვადმყოფა.

გადარჩენა მიულოცეს და სასწაულებრივი ოპერაციის ავტორი
მოიკითხეს. მოიკითხეს და თანაკურსელი შერჩათ.

— ვანო, შენა?!

სქელიამ მორცხვად დახარა თავი.

— დიდებული ქირურგი დამდგარა შენგან. სად მუშაობდა?

— ერთ დაწესებულებაში...

— შაინც? — არ ეშვებოდნენ ყოფილი თანაკურსელები.

— ბაზარში. ყასაბი ვარ.

— კარგი ერთი, ნუ ხუმრობ.

— ეეჭ, ქირურგებს მაინც ყასბებს გვეძინიან და რა განსხვავებაა.

— მერედა ასეთი ოქროს ხელების პატრონი?

— ოქროს პატრონობა სჭობია, ოქროს ხელების პატრონობას,
სავადმყოფოში რომ ვმუშაობდი, ჯიბეებში ხალვათობა მქონდა...
— ახლა?

— ახლა, ჩემს ვარავზე მივემგზავრები. იქ მანქანა მყავს დატო-
ვებული და უნდა წამოვიყვანო... თორემ ეგ რომ არა, ეს საწყალი
უკვე პათოლოგანატომების კერძი იქნებოდა.



ბაქანზე ჩასული ექიმები სევდიანად შეყურებდნენ თავიანთ
ლულებულ ყოფილ კოლეგას.
— საწყალი, — თქვა ერთმა ექიმმა.
— საწყალი, — გამეორა მეორემ.
მატარებელმა ერთი შეკვიცლა და დაიძრა.

ჩვენი დანიშნულება

ერთი ხანდაზმული პროფესორი წუწუნით ეუბნებოდა თვეის კო-
ლეგას:

— რამდენი მოწაფეც ავიყვანე, რმდენი კარგი სპეციალისტი აღ-
ვუზარდე ქვეყანას... ვინ მოთვლის, რამდენი კანდიდატი და დოქტო-
რი გახდა იმათგან. ბევრს ცხოვრების მოწყობაშიც მოვეხმარე, მაგ-
რამ რა მერე?

— მერე და ნუთუ ის გაწუხებთ, რომ თქვენი მოვალეობა — შეას-
რულეთ? — ჰკიოთხა გაქვირებულმა კოლეგამ.

თეორია და პრაქტიკა

ერთხელ ექიმთა წრეში ვიღაცამ იყითხა:

— ვინ არის ოპტიმისტი და ვინ არის პესიმისტი?
იდავეს, იდავეს და ბოლოს ანკეტური წესით შეაგროვეს პასუ-
ხები:

ანკეტურმა მონაცემების ანალიზმა გამოაჩვია, რომ ოპტიმის-
ტები ყოფილან უპირატესად თეორიული დარგის წარმომადგენლები,
რომლებსაც ჯიბეში გახვრეტილი შაურიანიც არ აბალიათ, მაგრამ დი-
დი იმედით უყურებენ მომავალს.

პესიმისტები ომონიჩნდნენ ცხოვრებამოყირკებული პრაქტიკოსი
ექიმები (ქირურები, მეან-გინეკოლოგები), რომლებმაც არ იციან.
რა უყონ თავიანთ ფულსა და ქონებას.

— კიდევ ერთხელ დამტკიცდა ფილოსოფიური აზრი: ის, რაც
პრაქტიკას არ აქვს, აქვს თეორიას, ხოლო რაც თეორიას არა აქვს,
თავსაყრელად აქვს პრაქტიკას, — დაასკვნა ისევ იმ ვიღაცამ.

სოფლის ეპიზი

სუფრაზე, სადაც მხოლოდ ექიმები იყენებ, ვიღაცამ იყითხა:

— რას ნიშნავს სოფლის ექიმი?

რამდენი კაციც, იყო, იმდენი აზრი გამოითქვა.

ბოლოს თვით სოფლის ექიმაც გასცა პასუხი.

— ეს ის ადამიანია, რომელსაც სოფელში წასკლამდე უკელაფერს
პრიდებიან, ხოლო სოფელში წასკლის შემდეგ აღარც ახსოვთ.

პრ ღირს პურიშარიშვილი

ფიქტურში წასულ ცნობილ ექიმ-მეცნიერს ქუჩაში შეხვდა კალე-
ჭა-მორაქტეკე ექიმი. გაჩერდნენ, გაიყითხ-ვამიცითხეს ერთმანეთი.
შეცნიერს სეთი შთავონებული სახე ჰქონდა, რომ ექიმი იფიქრა, რა-
ლაც დიდ და ახალ პრობლემაზე მუშაობს მისი გონებათ და ამიტომაც
ხუმრობით უთხრა მეცნიერს:

— ერთ პურ-მარილს გავმართავდი, რომ გამაგებინა, რაზე ფიქ-
რობდი ჩემთან შეხვედრისძე.

— არ ღირს პურმარილად... — უპასუხა მეცნიერმა.

— არა, მაინც რაზე ფიქტობდი? — არ მოეშვა კალეგა.

— დღეს სად მესაღილა, — უპასუხა მეცნიერმა.

მეგობრობა და „ინტენსაციები“

თერაპევტ-კარდიოლოგს მეგობარი ექიმი ესტუმრა.

— გეთაყვა, — დაიწყო მეგობარმა, — მიშველე რამე, გულის არ-
ში რალაც მაწვება და სულს მიხუთავს, თანაც დროდადრო ტკივილები
მაქვს...

თერაპევტ-კარდიოლოგმა გულიდასმით გასინჯა შეგობარი.

— შენი მხსნელი ინტენსიუნია, — უპასუხა კარდიოლოგმა.

— სამწუხარიდ, ინტენსიუნი რომ არა მაქვს?

კარდიოლოგმა ქარბადიდან წამლის ფლაკონი ამოილო.

— დღეს ჭამე რამე?

— გერჩერობით არაფერი...

— მაშ არი აბი აიღე და ახლავე გადაყლაპე. შერე კი რეცეპტუ-
გამოვიწერ, სამინისტროში ბეჭედი დარტყმევინე და თუ სააფთიაქო
სამართველოშიც გყავს ნაცნობი, შეიძლება იშვივ...

ექიმმა არი აბი მაშინვე გადაყლაპე. წამლიანი ფლაკონი კი სიმე-
დოდ გულის ჭიბეში შეინახა. კარდიოლოგს თვალები გაუფართოვდა,
გაფიტრდა და შეცყვირა:

— ერიპა! — ამდენი წამლის ერთად მიღება არ შეიძლება. მორჩე-
ნის ნაცვლად, უფრო მეტად ჰგატებს გულს...

— ეტყობა, მართლაც ძლიერი წამალი ყოფილა ეს ინტენსიუნი,
რადგან შენ მას არ სვამ და მაინც გამოგართვი თუ არა, გული გეტე-
ნა, მე კი მშენივრად ვიგრძენი თავი, — ღიმილით უთხრა მეგობარმა
ექიმმა თერაპევტ-კარდიოლოგს.

მხატვრების და მეივების საჩივარი

ექიმთა საზოგადოებაში რამდენიმე მხატვარი და მოქანდაკე მოხვდა.
მიუხედავად პროფესიის სხვადასხვაობისა, მათ შორის საინტერე-
სო საუბარი გაიმართა. ბოლოს ერთმა მხატვარმა ნალვლიანად დაიწყო:

— უცნაური სპეციალისტა გვაქვს. ჩვენი ნამუშევარი შალაშო უნდა

იუმ, წერს ვერ ითმენს, არც ერთი შეცდომა არ იმალება, შცერეფა
დენი დეფექტიც კი საქვეყნის ნდება, ის, რაც ჩვეულებრივ კაცების შესახურავა
ლება გამოჩეხს, კრიტიკოსებს არ ემალებათ და საქვეყნოდ ტყავს-
კვაძრობენ. თქვენ კი რა გიშავთ, — მიმართა შემდეგ ექიმებს, — თქვენი
შეცდომები იმარხება, მიწა ფარავს მათ.

— რატომ გვონიათ ასე! — გაცხარდა ერთი ექიმი. — გართალია,
ცნობილი ჰილანდიელი ექიმი გერმან ბურგავი ამბობდა, რომ მცურ-
ნალობის წარმატებებზე მსოფლიო ღალადებს, შეცდომებს კი მიწა
ფარავს, მაგრამ დღეს ეს აზრი აღარ შეეფერება სინამდვილეს. პა-
თოლოგანატომების წყალობით ჩვენი შეცდომების გამომზეურება
ხდება სასექციო მაგიდასთან, მიკროსკოპთან და საბოლოოდ კლინი-
კურ-პათოლოგანატომიურ კონფერენციებზე, საიდანაც არაიშვილთად
ოფლში გაწურული გამოვდივართ, მე რომ, ჩვენც გვყავს ჩვენი
კრიტიკოსები და გაცილებით დაუნდობლები, ვიდრე თქვენ, — პათო-
სით დასრულა სიტყვა ექიმმა.

როცა როლები იცვლება

ერთ ხანდაზმულ პრატიკოს ექიმს, ავალმყოფის გასინჯვის დროს
გული შეულონდა, მოწყვეტით დაეცა სავარმელში და სულს ძლივს
ითქვემდა.

ოგაზში შეშინდნენ: პაციენტი არ დაიბნა, ჭერ წყალი ასხურა, მე-
რე ნეკზე უქბინა, ექიმი გონის მოვიდა.

— სათბურაში თბილი წყალი ჩაასხით და მომიტანეთ, — გასცა გან-
კარგულება პაციენტმა.

სათბურა თბილი წყლით მალე მოურბენინეს, პაციენტმა გულ-
მკერდზე დაადო.

— მარაში გაწურული ტილო, — სუვ გასცა განკარგულება პაცი-
ენტმა.

ექიმს პაციენტმა ყურის ძირები, სახსრები და კისერი ძმრიანი ტი-
ლოთი დაუზილა.

ექიმი გამომგობინდა.

პაციენტმა კიდევ ჩაუტარა რამდენიმე პროცედურა ექიმს და შემ-
დეგ დაარიგა:

— ახლა კოტახას იწევით, მერმე კი შეგიძლიათ ადგეთ, ორონდ
არაფერზე ინერვიულოთ, დილაობით სუფთა. ჰაერზე გაისეირნეთ,
ერიდეთ ზედმეტ ცხიმსა და მწარე საჭმელს, მსუბუქად ივაბშმეთ
ხოლმე.

— უკაცრავად მეგობარო, მაგრამ თქვენ რა სპეციალობის ბრძან-
დებით? — იკითხა ექიმმა.

— მე ელექტროტექნიკოსი გახლავართ, ბატონო ჩემო, — თავაზია-
ნად უპასუხა პაციენტმა.

